

კროსვორდი - სასწავლო რესურსი გეოგრაფიის გაკვეთილზე

მოამზადა მაია ბლიაძემ

სიტყვა კროსვორდი ინგლისური წარმოშობისაა, ნიშნავს Cross — გადაკვეთა, Word — სიტყვას. კროსვორდი სიტყვათა თავსატეხის ყველაზე გავრცელებული ფორმა მთელ მსოფლიოში. კროსვორდის მიზანია, დამხმარე წინადადებების მეშვეობით, რომლებიც ამ სიტყვებზე მიგვანიშნებენ, უჯრების ასოებით ისე შევსება, რომ მათ სიტყვები შექმნან შვეულად ან თარაზულად. კვადრატის ფორმის უჯრები, რომელშიც პასუხის პირველი ასო უნდა ჩაიწეროს, დანომრილია, მარცხნიდან მარჯვნივ, ზემოდან ქვევით, ხოლო მინიშნება კი ამ რიცხვებზე და ასევე ჩაწერის მიმართულებაზე (შვეულად თუ თარაზულად) გვამცნობს.

კროსვორდების შექმნას ხშირად კრუცივერბალიზმს უწოდებენ, ხოლო მათ შემქმნელებს კი კრუცივერბალისტებს.

პირველი კროსვორდები ინგლისში მე-19 საუკუნეში გამოჩნდა. ისინი ძალიან მარტივი იყო, საბავშვო ჟურნალებსა და სხვადასხვა გამოცემებში იბეჭდებოდა. თუმცა შეერთებულ შტატებში ეს თავსატეხი ზრდასრულთა სერიოზული გასართობი გახდა.

პირველი თანამედროვე კროსვორდი 1913 წლის 21 დეკემბერს, „New York World“-ის საკვირაო დანართში, სექცია „დასვენება და გართობაში“ გამოქვეყნდა. თითქოსდა იგი მრავალფეროვანი გონებრივი სავარჯიშოების ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენდა, მაგრამ მან საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. 1923 წლისთვის კროსვორდები წამყვან ამერიკულ გაზეთებში

გამოჩნდა და მან მალე ინგლისამდეც მიაღწია. მალე შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში თითქმის ყველა ყოველდღიურ გაზეთში გაჩნდა კროსვორდის ადგილი.

დღეს სხვადასხვა ტიპის კროსვორდები გვხვდება და ისინი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ძალიან პოპულარულია. ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ამგვარი თავსატეხები, გართობასთან ერთად, კარგი საშუალებაა ლექსიკის გასამდიდრებლად და მეხსიერების გასავარჯიშებლად.

ელექტრონული კროსვორდის შექმნის ინსტრუქცია:

შედით საიტზე http://crosswordlabs.com.

პირველსავე ველში დაწერეთ თქვენი კროსვორდის თემის სახელი.

მეორე ველში ვწერთ იმ სიტყვებს და მათ განმარტებებს, რომლებიც გვინდა, რომ გამოჩნდეს კროსვორდში. სიტყვების რაოდენობა შეზღუდული არ არის.



ქვედა მარჯვენა ველში ყოველი ახალი სიტყვის დამატების შემდეგ ხედავთ, როგორ გამოიყურება თქვენი კროსვორდი.

კროსვორდის დასრულების შემდეგ პაროლის ველში წერთ პაროლს - სიტყვებს, ციფრებს ან რაც გსურთ. პაროლი გაგიადვილებთ, მარტივად შეძლოთ თქვენი კროსვორდის რედაქტირება.

იმ შემთხვევაში, თუ არ მოგწონთ თქვენი კროსვორდის დიზაინი, ფანჯრის ქვემოთ მოცემული ისრების ღილაკების გამოყენებით შეგიძლიათ დიზაინის შეცვლა.

კროსვორდის დიზაინის შერჩევის შემდეგ დააჭირეთ ღილაკს Save end Finish -ს და შეგიძლიათ ნახოთ საბოლოო ვარიანტი.



შექმნილი კროსვორდი შეგიძლიათ მოსწავლეებს ონლაინ გაუგზავნოთ მეილის, ფეისბუქის ან სხვა რომელიმე ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებით. ამისათვის აკოპირებთ ბმულს და უგზავნით. ბმულზე შესვლისას მოსწავლეებს შეუძლიათ კროსვორდის ონლაინ შევსება და უკან დაბრუნება ისევ ბმულის კოპირებით.

თუ გსურთ, რომ კროსვორდი ამობეჭდოთ და საკლასო ოთახში დაურიგოთ მოსწავლეებს, ამ შემთხვევაში დააწკაპეთ ღილაკზე print. თუ კროსვორდის თქვენს კომპიუტერში გადმოწერა გსურთ, მაშინ აჭერთ ღილაკს „გადმოწერა“.

თვალსაჩინოებისთვის სავარჯიშოებში იხილეთ პროგრამის http://crosswordlabs.com გამოყენებით შექმნილი კროსვორდი თემაზე „ევროპის მდინარეები და ტბები“.